

ჯ.კ. და სხვები შვედეთის სამეფოს წინააღმდეგ

საქმის სახელწოდება:	ჯ.კ. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ (განაცხადი № 59166/12)
განმცხადებლის წარმომლობის ქვეყანა:	ერაყი
გადაწყვეტილების თარიღი:	23-08-2016
ციტირების წესი:	J.K. and Others v. Sweden, Application no. 59166/12
სასამართლოს სახელწოდება:	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (დიდი პალატა)
საკვანძო სიტყვები:	მტკიცების ტვირთი, ფაქტებისა და გარემოებების შეფასება, წარმომლობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია, ინდივიდუალური საფრთხე, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი, წარსულში დევნა, მტკიცების სტანდარტი, შიდა დაცვა, სანდოობის შეფასება.

რელევანტური სამართლებრივი ნორმები:

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 3;
- ევროკავშირის მაკვალიფიცირებელი დირექტივა (2004/83/EC), მუხლები: 4; 7.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:¹

განმცხადებლები, დაქორწინებული წყვილი და მათი ვაჟიშვილი, არიან ერაყის მოქალაქეები. 1990-იანი წლებიდან, ქმარს (პირველი განმცხადებელი) ჰქონდა საკუთარი სატრანსპორტო ბიზნესი ექსკლუზიურად ამერიკელ კლიენტებთან და მისი ოფისი აშშ-ს სამხედრო ბაზაზე მდებარეობდა. 2004 წელს, პირველი განმცხადებელი გადაურჩა ალ-ქაიდას მხრიდან მკვლელობის მცდელობას და სამი თვის განმავლობაში საავადმყოფოში იმყოფებოდა. 2005 წელს ალ-ქაიდამ პირველი განმცხადებლის ძმა გაიტაცა და ამერიკელებთან თანამშრომლობის გამო მისი მოკვლით იმუქრებოდა. მოგვიანებით, ის გამოსასყიდის გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს. ამის შემდგომ განმცხადებლის ოჯახი იორდანიაში გადავიდა საცხოვრებლად, სანამ 2006 წლის დეკემბერს კვლავ ერაყში დაბრუნდებოდნენ.

¹ ჯ.კ. და სხვები შვედეთის სამეფოს წინააღმდეგ, დიდი პალატა, განაცხადი 59166/12, პარაგრაფები: 1-20.

მალევე, ალ-ქაიდამ, განმცხადებლის სახლთან ასაფეთქებელი მოწყობილობა მოათავსა, რაც მეუღლემ (მეორე განმცხადებელი) აღმოაჩინა. ამერიკელებმა დაიჭირეს დამნაშავე, რომელმაც დაკითხვისას აღიარა, რომ მას ალ-ქაიდამ გადაუხადა ქმარი განმცხადებლის მკვლელობისთვის.

ოჯახი რამდენიმე წლით სირიაში გადავიდა, თუმცა, განმცხადებელი ქმარი კვლავ აგრძელებდა თავის ბიზნეს საქმიანობას ერაყში. ამ დროის განმავლობაში ტერორისტულმა ორგანიზაციამ გაანადგურა მათი სახლი და ბიზნეს ქსელები.

2008 წელს ბაღდადში დაბრუნების შემდეგ ქმარ განმცხადებელსა და მის ქალიშვილს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ქალიშვილი გარდაიცვალა. ასევე რამდენჯერმე თავს დაესხნენ ბიზნეს ქსელებს, რის გამოც მთელი ოჯახი გამუდმებით იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს. განმცხადებლებს არ მოუთხოვიათ დაცვა ადგილობრივი უფლებამოსილი ორგანოებისგან, იმ მოტივით, რომ ალ-ქაიდა მათთან თანამშრომლობდა და ეშინოდათ არ გამჟღავნებულიყო მათი ადგილსამყოფელი .

განმცხადებლებმა შვედეთში თავშესაფარი და ბინადრობის ნებართვა მოითხოვეს - თავშესაფრის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა ალ-ქაიდას მხრიდან დევნის შიში, თუმცა 2011 წლის 22 ნოემბერს შვედეთის მიგრაციის სააგენტომ განცხადების განხილვაზე უარი უთხრა.

ერაყის უფლებამოსილი ორგანოების შესაძლებლობაზე, უზრუნველყო არასახელმწიფო აქტორების მხრიდან დევნისგან დაცვა, სააგენტომ განაცხადა, რომ „უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში პოლიციის ორგანოებმა მრავალი ღონისძიება გაატარეს პოლიციის შიგნით კლანურ დაჯგუფებებთან, კორუფციასთან და დანაშაულებთან ბრძოლის წინააღმდეგ. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც დაეკისრათ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. როგორც ქვეყნის შესახებ ინფორმაციიდან ირკვევა, ალ-ქაიდასთვის უფრო რთული გახდა ერაყში თავისუფალი მოქმედება და ძალადობაც შემცირდა.“

განმცხადებლების ლტოლვილი სტატუსისა და ალტერნატიული დაცვის საჭიროების შეფასებისას, სააგენტომ დაადგინა, რომ „პირველმა განმცხადებელმა ამერიკელებთან კონტაქტი 2008 წელს შეწყვიტა. ის, 2010 წლის დეკემბრამდე, ხოლო მეორე განმცხადებელი და ვაჟი - 2011 წლის სექტემბრამდე, ცხოვრობდნენ ბაღდადში, ასევე, მათ ჰყავთ ორი ქალიშვილი, რომლებიც ბებიასთან ერთად ცხოვრობენ ბაღდადში და კიდევ ერთი დაქორწინებული ქალიშვილი, რომელიც თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს ბაღდადში და ამ პერიოდის განმავლობაში არ ყოფილან პირდაპირი თავდასხმის ობიექტები, თუმცა მის ბიზნესის ქსელებს რამდენჯერმე თავს

დაესხნენ“. მიგრაციის სააგენტომ აღნიშნა, რომ უფლების დარღვევები, რომელსაც განმცხადებლები შესაძლოა დაექვემდებარონ, წარმოადგენს კრიმინალურ ქმედებებს, რომლის მიმართაც სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების ვალდებულება წარმოშობის ქვეყანას აკისრია.

ვინაიდან, დაცვის საჭიროების არსებობა თავშესაფრის მაძიებელმა უნდა ამტკიცოს და სწორედ მანვე უნდა წარმოადგინოს საქმის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მტკიცების ტვირთი, რომ მას არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს ისარგებლოს ერაყის მფარველობით, ეკისრება განმცხადებელს. იმ შემთხვევებში, როდესაც დევნის შესაძლო რისკი ან სხვაგვარი დარღვევები არ გამომდინარეობს სახელმწიფო აგენტებისგან, განმცხადებელმა უნდა უჩვენოს, რომ შეეცადა უფლებამოსილი ორგანოებისგან დაცვის მიღებას, ამისათვის თავშესაფრის მაძიებელი ან ეყრდნობა მტკიცებულებას ან წარმოადგენს მოვლენების დამაჯერებელ ანგარიშს. უფლებამოსილი ორგანოების უნარის შეფასებისას, დაიცვან პირი ტერორისტთა ჯგუფის ან სხვა დამნაშავეების მხრიდან ძალადობისგან, კონკრეტულ საქმეში პირის მდგომარეობა და ასევე ძალადობის ან მუქარის სიმძიმე, მათი ბუნება და ფარგლები უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად. მიგრაციის სააგენტომ აღნიშნა, რომ განმცხადებლებს არც უცდიათ ერაყის უფლებამოსილი ორგანოებისგან მოეთხოვათ დაცვა და დამაჯერებლად ვერ დაასაბუთეს, რომ ერაყში დაბრუნების შემთხვევაში, ალ-ქაიდას მხრიდან პოტენციური მუქარისას არ ექნებოდათ დაცვაზე წვდომა.

თავშესაფრის მაძიებლებმა მიმართეს მიგრაციის სასამართლოს და აღნიშნეს, რომ ისინი დაუკავშირდნენ პოლიციას 2006 წელს, მათ სახლსა და ბიზნეს ქსელებზე თავდასხმის შემდეგ და 2008 წელს, თავიანთი ქალიშვილის მკვლელობის შემდეგ, მაგრამ მას შემდეგ ისინი აღარ დაკავშირებიან ხელისუფლებას, მათი საცხოვრებელი ადგილის გამჟღავნების რისკის გამო. განცხადებას თან ერთვოდა ბალდადში მათი მეზობლის წერილობითი, თარგმნილი და დამოწმებული ჩვენება, რომლის თანახმადაც, განმცხადებელს 2011 წლის 10 სექტემბერს ეძებდა ნილბიან ტერორისტთა ჯგუფი, რომლის შესახებაც მაშინვე აცნობა განმცხადებელს. მათ ასევე წარმოადგინეს პოლიციის ანგარიში, რომელიც სავარაუდოდ ადასტურებდა, რომ 2011 წლის 12 ნოემბერს ტერორისტთა ჯგუფმა დაწვა განმცხადებლის სახლი. ამას გარდა, განმცხადებლებმა წარმოადგინეს საჯარო დებატების ჩანაწერი, რომელიც ეხებოდა კორუფციას და ერაყის ადმინისტრაციაში ალ-ქაიდას წევრების შეღწევას. განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ ქმარმა განმცხადებელმა მონაწილეობა მიიღო საჯარო დებატებში, რომელიც 2008 წლის 12 თებერვალს უჩვენეს ერაყში ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე. განმცხადებლებმა დამატებით აღნიშნეს, რომ ქმარი

განმცხადებელი, საჯარო დებატებში მონაწილეობის გამო, ერაცის ხელისუფლების მხრიდან დევნის რისკის წინაშეა, ან საუკეთესო შემთხვევაში, ხელისუფლებას არ ექნება მისი დაცვის სურვილი, რადგან მან დებატების დროს საჯაროდ გააკრიტიკა ერაცის მთავრობა. საბოლოოდ, წარმოადგინეს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ რამდენიმე ცნობა, რომლითაც განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ქმარი განმცხადებლის ჯანმრთელობა გაუარესდა და ვერ შეძლებდა ადეკვატური სამედიცინო დახმარების მიღებას ერაცში.

მიგრაციის სასამართლომ უცვლელი დატოვა მიგრაციის სააგენტოს გადაწყვეტილება და მიიჩნია, რომ მოვლენები მოხდა დიდი ხნის წინ და ვინაიდან პირველ განმცხადებელი აღარ ეწევა თავის საქმიანობას, ამიტომ რთულია, მომავალში საფრთხის დანახვა, იმ შემთხვევაშიც კი, რომ გარკვეული საფრთხე კვალავ არსებობს; მოსალოდნელია, რომ ერაცის სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ სურვილიც და შესაძლებლობაც, უზრუნველყონ განმცხადებელი აუცილებელი დაცვით. ასეთ ვითარებაში კი მიგრაციის სასამართლოს გადაწყვეტილებით არ არსებობდა განმცხადებლებისთვის ბინადრობის მოწმობის მინიჭების არანაირი საფუძველი.

განმცხადებლებმა მიმართეს მიგრაციის სააპელაციო სასამართლოსაც, თუმცა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მათი საჩივარი.

სასამართლოს გადაწყვეტილება და შესაბამისი დასაბუთება:

ა. ზოგადი პრინციპები²

როგორც სასამართლომ ბევრჯერ აღნიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის წამების აკრძალვის შესახებ მე-3 მუხლი იცავს დემოკრატიული საზოგადოების ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებებს. ყველაზე რთულ პირობებშიც, როგორცაა ტერორიზმის ან ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კონვენცია კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს.

სასამართლომ ბევრ შემთხვევაში აღიარა არ-გაძევების პრინციპის მნიშვნელობა. თავშესაფრის მაძიებელთა გაძევების საქმეებში სასამართლომ ძირითადი საზრუნავი ეფექტური გარანტიების არსებობაა, რომელიც განმცხადებელს წარმოშობის ქვეყანაში თვითნებური პირდაპირი თუ არაპირდაპირი გაძევებისაგან დაიცავს.

² ჯ.კ. და სხვები შვედეთის სამეფოს წინააღმდეგ, დიდი პალატა, (განაცხადი № 59166/12), პარაგრაფები: 77-105.

სასამართლომ გაიმეორა, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, დამკვიდრებული საერთაშორისო სამართლის და საკუთარი სახელშეკრულებო ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად, გააკონტროლონ უცხოელთა შესვლა, ცხოვრება და გაძევება. თუმცა, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ უცხოელის გაძევებამ, შესაძლოა წამოჭრას კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული საკითხები და აქედან გამომდინარე, კონვენციის შესაბამისად, ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის წარმოშობა, მაშინ, როცა არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ შესაბამისი პირი, მიმღებ ქვეყანაში დეპორტაციის შემთხვევაში დაექვემდებარება წამებას და არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს. მსგავს შემთხვევაში, მე-3 მუხლი ითვალისწინებს ვალდებულებას არ მოხდეს ამ პირის დეპორტაცია. საკმარისი საფუძველის არსებობის ვარაუდი მოითხოვს სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ სტანდარტთან მიმართებით შეაფასოს მიმღებ სახელმწიფოში არსებული მდგომარეობა. სტანდარტები გულისხმობს, რომ არასათანადო მოპყრობამ, რომელსაც განმცხადებელი თვლის რომ დაექვემდებარება, უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ დონეს იმისათვის, რომ მოექცეს მე-3 მუხლის ფარგლებში. შეფასება ფარდობითია და დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე.

მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების აბსოლუტური ხასიათის გამო, კონვენცია ვრცელდება არა მხოლოდ სახელმწიფო აგენტებისგან გამომდინარე საფრთხის დროს, არამედ, მაშინაც, როცა საფრთხე გამომდინარეობს პირების ან პირთა ჯგუფისგან, რომელიც არ არიან საჯარო მოხელეები. თუმცა ნაჩვენები უნდა იყოს, რომ რისკი არის რეალური და მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს არ შეუძლიათ მისი თავიდან აცილება შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფით. ამ კონტექსტში დაცვის შესაძლებლობა ან განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში განსახლება აგრეთვე მნიშვნელოვანია. სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ მე-3 მუხლი, როგორც ასეთი, ხელს არ უშლის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, პირის განაცხადის შეფასებისას დაეყრდნონ შიდა გადაადგილების ალტერნატივის იდეას. თუმცა, როგორც სასამართლომ დაადგინა, შიდა გადაადგილების ალტერნატივაზე დაყრდნობა, არ ახდენს გავლენას ხელშემკვრელი სახელმწიფოს ვალდებულებაზე, დარწმუნდეს, რომ განმცხადებელი გაძევების გადაწყვეტილების შედეგად არ დაექვემდებარება მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას. შესაბამისად, შიდა გადაადგილების ალტერნატივის გამოყენების წინაპირობებია, რომ პირს, რომელსაც აძევებენ, უნდა შეეძლოს შესაბამის ტერიტორიაზე გამგზავრების, შესვლის და დასახლების ნებართვის უფლების მიღება. ასეთი გარანტიების არარსებობის

შემთხვევაში, შესაძლებელია მოხვდეს ქვეყნის იმ ნაწილში, სადაც დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობას.

სასამართლომ რამდენიმე საქმეში დაადგინა, რომ საჭიროა სრული და *ex nunc*³ შეფასება, როცა რაიმე ინფორმაცია ცნობილი ხდება შიდა სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაწვეტილების მიღების შემდეგ. ჩვეულებრივ, მსგავს შემთხვევას ადგილი აქვს დეპორტაციის გადავადებისას. ვინაიდან, ხელშემკვრელი სახელმწიფოების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როცა პირი აღმოჩნდება არასათანადო მოპყრობის საფრთხის ქვეშ, რისკის არსებობის შეფასება უნდა მოხდეს იმ ფაქტებზე მითითებით, რომელიც ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის ცნობილი იყო ან გამეგების დროისთვის უნდა სცოდნოდათ. შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს განმცხადებლის დანიშნულების ქვეყანაში გამეგების პროგნოზირებად, წინასწარ ცნობილ შედეგებზე, ქვეყანაში არსებული ზოგადი მდგომარეობის და განმცხადებლის პირადი გარემოებების ჭრილში.

თავშესაფრის მაძიებლის გამეგების შემთხვევებში, სასამართლო არ განიხილავს უშუალოდ თავშესაფრის განცხადებას ან არ ამოწმებს რამდენად ასრულებენ სახელმწიფოები ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებულ ჟენევის კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებებს. მთავარი განსახილველი საკითხია, არსებობს თუ არა ეფექტიანი გარანტიები, რომელიც განმცხადებელს წარმოშობის ქვეყანაში თვითნებური, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გამეგებისაგან დაიცავს. გარანტირებული უფლებების იმპლემენტაციის და აღსრულების უპირველესი მოვალეობა მინდობილია ეროვნული უფლებამოსილი ორგანოებისთვის. სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოების შეფასებები არის ადეკვატური და საკმარისად დასაბუთებული, როგორც შიდა კანონმდებლობით, ასევე ნორმებით, რომელიც გამომდინარეობს სხვა სანდო და ობიექტური წყაროებიდან, აქ იგულისხმება, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოები და აღიარებული არასამთავრობო ორგანიზაციები. ზოგადი პრინციპის თანახმად, ეროვნულ დონეზე უფლებამოსილი პირები არიან ყველაზე კარგ მდგომარეობაში შეაფასონ არა მხოლოდ ფაქტები, არამედ მოწმის სანდოობაც, ვინაიდან მათ ჰქონდათ უშუალო შესაძლებლობა ენახათ, მოესმინათ და დაკვირვებოდნენ შესაბამისი პირის ქცევას.

რეალური რისკის არსებობის შეფასება უნდა იყოს ზუსტი. ასეთი რისკის არსებობისას, განმცხადებლის გამეგება აუცილებლად დაარღვევს ზემოაღნიშნულ

³ დღეიდან, ანუ სამართლებრივი მოქმედების ძალა მხოლოდ მომავალს უკავშირდება.

მუხლს, მიუხედავად იმისა, გამომდინარეობს თუ არა ეს რისკი ძალადობის ზოგადი მდგომარეობიდან, დაკავშირებულია პირად გარემოებებთან თუ ორივე პირობა ერთდროულად არის მოცემული. თუმცა, ასევე ცხადია, რომ ძალადობის ზოგადი მდგომარეობა ყოველთვის არ ნიშნავს რისკის არსებობას. პირიქით, როგორც სასამართლომ დაადგინა, ძალადობის ზოგადი მდგომარეობა უნდა იყოს საკმარისად ინტენსიური, რომ შექმნას ასეთი რისკი ყველაზე უკიდურეს (extreme) შემთხვევებში.

რაც შეეხება გამეგების საქმეებში მტკიცების ტვირთს, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, გამეგების შემთხვევაში აღმოჩნდება მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის რეალური რისკის წინაშე. სასამართლო აღიარებს, რომ არა მხოლოდ რთული, არამედ შეუძლებელიც კი არის პირისთვის მტკიცებულების მოკლე დროში წარმოდგენა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის იმ ქვეყნიდან უნდა გამოითხოვოს/მოიპოვოს რომელიც დატოვა. პირდაპირი დოკუმენტური მტკიცებულების ნაკლებობა *per se*⁴ არ უნდა იყოს გადამწყვეტი. იმ განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, რომელშიც თავშესაფრის მაძიებლები ხშირად იმყოფებიან, მათი განცხადებების და წარმოდგენილი დოკუმენტების სანდოობის შემოწმებისას ხშირად აუცილებელია ექვსის მათ სასარგებლოდ გადაწყვეტა, მაგრამ თუკი წარმოდგენილი ინფორმაცია იძლევა საკმარის საფუძველს, იმისთვის რომ ექვსეუმი დავაყენოთ თავშესაფრის მაძიებლის განცხადებები, პირმა უნდა შეძლოს შეუსაბამობების დამაკმაყოფილებლად ახსნა. სასამართლომ აღნიშნა, რომ თავშესაფრის პროცედურაში მნიშვნელოვანი ფაქტების გამოკვლევა და შეფასება თავშესაფრის მაძიებლის და საემიგრაციო სამსახურის ერთობლივი მოვალეობაა. განმცხადებელი, როგორც წესი არის ის მხარე, რომელსაც პირად გარემოებებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწოდება შეუძლია, შესაბამისად ამ კუთხით მტკიცების ტვირთი მასვე ეკისრება. თავშესაფრის მაძიებელმა შესაძლებლობისთანავე უნდა წარმოადგინოს პირად გარემოებებთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია საერთაშორისო დაცვის განცხადებისთვის. თუმცა, სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მტკიცების ტვირთმა ხელი არ უნდა შეუშალოს განმცხადებლისთვის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას. მნიშვნელოვანია, მხედველობაში იყოს მიღებული ყველა სირთულე, რომელსაც განმცხადებელი შესაძლოა წააწყდეს მტკიცებულებების მოპოვებისას.

⁴ თავისთავად, როგორც ასეთი.

განსაკუთრებული საკითხები წამოიჭრება, როცა განმცხადებელი ამტკიცებს, რომ წარსულში დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, ვინაიდან ეს შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს მომავალში არასათანადო მოპყრობის რისკის შეფასებისთვის. პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მომავალში არასათანადო მოპყრობის რისკის შეფასებისას, აუცილებელია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ განმცხადებელმა დამაჯერებლად წარმოადგინა, რომ ის დაექვემდებარა მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას. სასამართლოს პოზიციით, წარსული არასათანადო მოპყრობა წარმოადგენს მომავალში მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის რეალური რისკის მაჩვენებელს იმ შემთხვევებში, თუკი განმცხადებელმა წარმოადგინა მოვლენების ზოგადად თანმიმდევრული და სანდო ახსნა, რომელიც შეესაბამება ამ ქვეყანაში ზოგადი მდგომარეობის შესახებ ობიექტური წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციას. ამ შემთხვევაში, რისკთან დაკავშირებული ნებისმიერი ეჭვის გაქარწყლების პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას.

მოთხოვნა, რომ თავშესაფრის მაძიებელმა უნდა განასხვავოს საკუთარი პირადი მდგომარეობა ქვეყანაში არსებული მდგომარეობისგან, კატეგორიულად არ დგას, როდესაც განმცხადებელი უთითებს, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს იმ ჯგუფის წევრს, რომელიც გამუდმებით განიცდის არასათანადო მოპყრობას. ამ შემთხვევაში, მე-3 მუხლით გათვალისწინებული დაცვა ამოქმედდება, როცა განმცხადებელი დაამტკიცებს ზემოთხსენებული პრაქტიკის არსებობას და შესაბამისი ჯგუფის წევრობას.

ბ. აღნიშნული პრინციპების ამ საქმეში გამოყენება⁵

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, არასათანადო მოპყრობის რეალური რისკის შეფასება, პირველ რიგში უნდა მოხდეს იმ ფაქტებზე მითითებით, რომელიც ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის ცნობილია, ან გამეკვების დროისთვის უნდა სცოდნოდა. თუკი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროისთვის განმცხადებელი ჯერ კიდევ არ არის ექსტრადირებული ან დეპორტირებული, შესაბამის დროდ ჩაითვლება სასამართლოს პროცედურების დრო. ვინაიდან, მოცემულ საქმეში, განმცხადებლები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამეკვებულები, კითხვა, ერაყში დაბრუნების შემთხვევაში დაექვემდებარებოდნენ თუ არა დევნის რეალურ რისკს, უნდა განხილულიყო სასამართლო პროცედურის დროს არსებული მდგომარეობის კრილში. შვედეთის სამეფოს მთავრობამ მიუთითა, რომ ბალდადში ძალადობის ხარისხი არ ქმნიდა მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის რეალურ

⁵ იქვე, პარაგრაფები: 106-123.

რისკს. სასამართლომ გაიზიარა ეს პოზიცია. ერაყში უსაფრთხოების ზოგადი მდგომარეობა, როგორც ასეთი, ხელს არ უშლიდა განმცხადებლის გაძევებას, შესაბამისად, სასამართლოს უნდა შეეფასებინა თუკი არსებობს ისეთი პირადი გარემოებები, რომლის გამოც განმცხადებლები ერაყში გაძევების შემთხვევაში დაექვემდებარებოდნენ წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

სასამართლომ იმსჯელა თავშესაფრის მაძიებლების პირად გარემოებებზე. პირველი განმცხადებლის პოზიციით, ერაყში დაბრუნების შემთხვევაში ის დადგებოდა არასათანადო მოპყრობის რეალური რისკის წინაშე ორი საფუძვლის გამო: ერთი მხრივ, ალ-ქაიდას მხრიდან შესაძლო დევნა ამერიკელებთან 2008 წლამდე მისი ბიზნეს ურთიერთობის გამო და მეორე მხრივ, დევნა ერაყის უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან საჯარო დებატებში მონაწილეობისთვის. სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ განმცხადებლის მდგომარეობის შეფასება უნდა მოხდეს იმ დროისათვის არსებული მდგომარეობის ჭრილში. სასამართლო ვერ ხედავს მიზეზს, რატომ უნდა დააყენოს ექვქვემ მიგრაციის სააგენტოს დასკვნები, რომ განმცხადებლის ოჯახი ალ-ქაიდას მხრიდან გახდა უფლების დარღვევის ყველაზე სერიოზული ფორმების მსხვერპლი. სასამართლო განმცხადებლის მონათხრობს 2004 წლიდან 2008 წლამდე მიიჩნევს სანდოდ, რომელიც თანხვედრაშია წარმოშობის ქვეყანაზე სანდო და ობიექტურ წყაროებთან.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლები დაექვემდებარნენ ალ-ქაიდას მხრიდან არასათანადო მოპყრობას, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს სერიოზული საფუძველი იმის ვარაუდისთვის, რომ ერაყში დაბრუნების შემთხვევაში, ისინი კვლავ იქნებიან დევნის რისკის ქვეშ არასახელმწიფო აგენტებისგან. შესაბამისად ნებისმიერი ექვის გაქარწყლების ვალდებულება ერაყში დაბრუნების შემთხვევაში შესაძლო დევნასთან დაკავშირებით აკისრია სახელმწიფოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ არც მიგრაციის სააგენტომ და არც მიგრაციის სასამართლომ არ იმსჯელა განმცხადებლის სანდოობაზე თუ ვიდეო ჩანაწერზე, მაგრამ ამავე დროს არ მიიჩნია საჭიროდ განეხილა ეს საკითხები, ვინაიდან როგორც შიდა ორგანოების გადაწყვეტილებებიდან ჩანდა, მათ ალ-ქაიდას მხრიდან განგრძობადი რისკი სრულად არ გამოურიცხავთ. როგორც სხვადასხვა სანდო და ობიექტური წყაროებიდან ირკვევა, პირები, რომლებიც ერაყში ომის შემდეგ სხვადასხვა გზით თანამშრომლობდნენ ოკუპანტ ძალებთან, იყვნენ და კვლავ არიან ალ-ქაიდას და სხვა ჯგუფის სამიზნეები. სამიზნეებს წარმოადგენენ ერაყის

მოქალაქეები, რომლებიც უცხოური კომპანიების მიერ არიან დასაქმებულები ან კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლები, როგორცაა მოსამართლეები, აკადემიკოსები, მასწავლებლები და იურისტები. პირველი განმცხადებელი მიეკუთვნებოდა იმ პირთა ჯგუფს, რომელიც გამუდმებულ სამიზნეს წარმოადგენდა ამერიკულ შეიარაღებულ ძალებთან კავშირის გამო. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ თანამშრომლობის ხარისხი და ფორმები შესაძლოა განსხვავდებოდეს და შესაბამისად რისკის ხარისხიც განსხვავებული იყოს. 2008 წლამდე განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობა უდავო ფაქტად იქნა მიჩნეული. სასამართლოს აზრით, მისი ურთიერთობა ამერიკულ ძალებთან ასევე აშკარა იყო, ვინაიდან, განმცხადებლის ოფისი აშშ-ს სამხედრო ბაზაზე მდებარეობდა.

საქმის ამ კონკრეტული გარემოებების ჭრილში, სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი განმცხადებელი და მისი ოჯახის ორი წევრი, რომლებიც ასევე განმცხადებლები იყვნენ, ერაყში დაბრუნების შემთხვევაში აღმოჩნდებოდნენ განგრძობადი დევნის რეალური რისკის წინაშე.

ასევე სასამართლოს მიერ დაისვა საკითხი, შეძლებდნენ თუ არა ერაყის უფლებამოსილი ორგანოები განმცხადებლების დაცვით უზრუნველყოფას. მთავრობის მოსაზრებით, ბაღდადში არსებობდა სათანადოდ ფუნქციონირებული სასამართლო სისტემა. სასამართლომ აღნიშნა, რომ როგორც ადამიანის უფლებების უახლესი, ობიექტური საერთაშორისო წყაროებიდან ჩანდა, ერაყის უსაფრთხოების და სამართლებრივ სისტემაში არსებობდა ნაკლი, როგორც სამართლიანობის ასევე ქმედუნარიანობის კუთხით. სასამართლოს მოსაზრებით, ერაყის სახელისუფლებო სისტემა მუშაობდა, თუმცა 2010 წლის შემდეგ მისი არაეფექტურობა გაზრდილი იყო. ასევე, გაზრდილი იყო სექტანტური ძალადობა დაემის (ISIS) მხრიდან, რის შედეგადაც ტერიტორიის დიდი ნაწილი ერაყის მთავრობის ეფექტურ კონტროლს მიღმა იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის, რთული და ცვალებადი მდგომარეობის გათვალისწინებით, შესუსტებული იყო ერაყის უფლებამოსილი ორგანოების უნარი, დაეცვათ საკუთარი მოსახლეობა. მიუხედავად იმისა, რომ დაცვის არსებული ხარისხი შესაძლოა ზოგადად საკმარისი ყოფილიყო ერაყის მოსახლეობისთვის, მდგომარეობა განსხვავდებოდა ინდივიდუალური პირებისთვის, რომლებიც განმცხადებლის მსგავსად სამიზნე ჯგუფის წევრებს წარმოადგენდნენ. სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის პირადი გარემოებები და ერაყის უფლებამოსილი ორგანოების შესუსტებული უნარი, დაეცვათ განმცხადებლები ერაყში დაბრუნების შემთხვევაში, ქმნიდა არასათანადო მოპყრობის რეალურ რისკს.

შედეგი:

სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ერაყში დაბრუნების შემთხვევაში განმცხადებლები აღმოჩნდებიან მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის რეალური რისკის წინაშე და შესაბამისად, მიიჩნია, რომ განმცხადებლების დეპორტაციის თაობაზე ბრძანების შესრულება გამოიწვევს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

სასამართლოს მოსაზრებით, მე-3 მუხლთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება თავისთავად მოიცავს ნებისმიერი ტიპის ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მიადგათ განმცხადებლებს.

დაკავშირებული საქმეები:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო - *ნა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* განაცხადი № 25904/07.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო - *ფ.გ შვედეთის სამეფოს წინააღმდეგ* განაცხადი № 43611/11.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო - *ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ*, განაცხადი № 26772/95.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო - *საადი იტალიის წინააღმდეგ*, განაცხადი № 37201/06.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო - *ფ.კ შვედეთის სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი № 32621/06.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო - *ჰ.ლ.რ. საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი № 24573/94.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო - *სალა შეეხი ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი № 1948/04.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო - *სუფი და ელმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი № № 8319/07 და 11449/07.